

წერის უნარების განვითარების ხელშემწყობი თანამედროვე სტრატეგიები
ქ. თბილისისა და წალკის მუნიციპალიტეტის სკოლების
მე-5 კლასების მაგალითზე

ნინო გორგაძე, ია ბრეგვაძე, დიანა ყიფშიძე

*მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბაზო და საშუალო საფეხურის
საგნის/საგნობრივი ჯგუფის (ქართული ენა და ლიტერატურა) მასწავლებლის
პროგრამის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომი*

კვლევის ხელმძღვანელი: ნათია ანდლულაძე (ასისტენტ-პროფესორი)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2016

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ იგი წარმოადგენს ორიგინალურ ვერსიას და მასში გამოყენებული და ციტირებული სხვა ავტორების მიერ გამოქვეყნებული მასალა დაცულია სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო გორგაძე

ია ბრეგვაძე

დიანა ყიფშიძე

თარიღი: 27-06-2016

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ქალაქ თბილისის ერთ-ერთ საჯარო სკოლასა და წალკის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სკოლაში ჩატარებული კვლევის ანგარიშს. კვლევის მიზანს წარმოადგენდა წერის უნარების განვითარებისათვის ხელშემწყობი რამდენიმე თანამედროვე სტრატეგიის გამოცდა ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე V კლასში.

წერა წარმოადგენს წიგნიერების ერთ-ერთ კომპონენტს და, ასევე, კომუნიკაციის საშუალებაცაა.

კვლევის ფარგლებში გამოვიყენეთ შერეული მეთოდი, თვისებრივი მეთოდებიდან - საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება და ინტერვიუ, რაოდენობრივი მეთოდებიდან - კვაზი ექსპერიმენტი, რომელიც მოიცავდა პრეტესტსა და პოსტტესტს ექსპერიმენტულ და საკონტროლო ჯგუფებთან ინტერვენციების შედეგების გასაზომად.

კვლევამ აჩვენა, რომ ინტერვენციების სახით ჩვენ მიერ შეტანილი წერის თანამედროვე სტრატეგიების გამოყენებით შესაძლებელია მოსწავლეებში წერის უნარების გაუმჯობესება.

კვლევაში აღწერილია ის სტრატეგიები, რომელთა გამოყენებაც ეფექტურად მივიჩნიეთ წერის პრობლემის გადასაჭრელად. პრობლემის კვლევისა და ინტერვენციის ანალიზის შედეგად შემუშავდა რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც შემდგომში გაუადვილებს V კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს მოსწავლეების წერის უნარების გაუმჯობესებაზე მუშაობას და ხელს შეუწყობს მოსწავლეებში წერის უნარების განვითარება/გაუმჯობესებას.

Abstract

This paper presents the results of a small-scale study of student writing skills in two – rural and urban – schools of Georgia. The objective of the study was to examine the effect of some strategies on student writing skills in the fifth grade. This study is a mixed method study. We have used classroom observations and in-depth interviews to identify main challenges that teachers face in teaching writing skills. Based on the results, we have adapted our interventions to the local context. A quasi-experimental design with pre-test and post test with experimental and control groups was used to evaluate the effect of our interventions.

The study has shown that by the using of some new writing strategies we have positive impact on student writing skills. The effect statistically significant in both – rural and urban – settings